ს.ს.ი.პ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს: ბ-ნ თემურ ბოლოთაშვილს

მოქალაქე/ორგანიზაცია: [illegible]

პ/ნ 01005028562

მისამართი: [illegible] 6

ტელ/მობ: 593 66 03 50

განცხადება

(მოქალაქის ხელმოწერა)

(რიცხვი,თვე, წელი)

განცადების ნომერი: AR1872203

განცხადების თარიღი: 9 მარტი, 2022

საკადასტრო კოდი: 01.15.05.060.012; 01.15.05.060.014

ქალაქ თბილისი, გერგეთის N 3

AR1872203 განაცხადით წარმოდგენილი პროექტით დგინდება რომ აღნიშნული შენობა მოთავსდება გერგეთის N 3 ში მდებარე ორსართულიანი შენობის ნაცვლად (აღნიშნული ორსართულიანი შენობის დემონტაჟი განხორციელდა მშენებლობის ნებართვის განაცხადის N: AR1842346 საფუძველზე)

აღნიშნული, განსახორციელებელი პროექტსის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმ მოსახლეობას (სკ 01.15.05.071.002) გვსურს გამოვხატოთ ჩვენი აზრი,რეკომენდაციები და თხოვდა წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში:

- წარმოდგენილი პროექტს აკლია სიზუსტე და არის დეტალებში გაუგებარი.
- პროექტში არ არის წარმოდგენილი კოეციენიენტების კალკულაცია (K1,K2,K3), რაც პროექტის განხილვისთვის საჭირო მოთხოვნას წარმოადგენს
- წარდგენილი პროექტიდან ჩანს რომ აღნიშნული პროექტი აჭარბებს კოეფიციენტები ნორმას, კონკრეტულად:

    - პროექტის მიხედვით ფართობის ზომა- 2.438 კვ.მია, შესაბამისად დაშვებული K2 კოეფიციენტი-1,5, გამომდინარე აქედან ასაშენებლად დაშვებულია-3.657 კვ.მ, არსებული პროექტის მიხედვით კი - 4.520 კვ.მ ია, რაც დაახლოებით 25% ით (863 კვ.მ) აჭარბებს დაშვებულ ნორმას.

- ჩვენი მოთხოვნაა პროექტმა დააკმაყოფილოს 1,5 კოეფიციენტი.
- წარდგენილი პროექტის მაშტაბი ძალიან დიდია, ისტორიულ უბანთან მიმართებაში როგორც სიმაღლით, ასევე სიდიდით. ახლო მდებარე სახლების უმრავლესობა მცირე ზომისაა 1 ან მაქსიმუმ 2 სართულიანი (მაგ: გერგეთის ქუჩაზე მდებარე N 5, 6 და 8 ში მდებარე შენობა ნაგებობები), წარმოდგენილი პროექტი მრავალსართულიანი, თანამედროვე სტილის შენობა სოლოლაკის ისტორიულ უბანს არ შეესაბამება.
- მაშტაბს დიდი მნიშვნელობა აქვს უბნის ისტორიული იერსახის შენარჩუნებისთვის, მაგალითად ანა მადათოვას სახლის და გერგეთის მიმდებარე N 6 თან მიმანრთებაში.
- პროექტი უნდა შემცირდეს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, რათა დაცული იყოს დაღმავალი მასშტაბი გერგეტის №10ა-დან №5-მდე გერგეტის №5 და N6 ის გათვალისწინებით
- გერგეთის ქუჩის წვრილი და მცირე მაშტაბის გათვალისწინებით სასურველი იქნება წარმოდგენილი პროექტის მისადგომი იყოს ჭონქაძის ქუჩის მხრიდან.

ზემოთ აღნიშნულის გარდა პროექტისთვის განკუთვნილი ტერიტორია წარმოადგენს ფერდს, სადაც აღინიშნება მოძრავი ქანები და სეისმური აქტიურობა. არსებული გარემობა მიგვაჩნია

საშიშად მსგავსი მაშტაბური მშენებლობის წარმოებისთვის, რამაც მიმდებარე ისტორიული შენობების დაზიანება შეიძლება გამოწვიოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოგმართავთ თხოვნით, პროექტის განხილვისას, მშენებლობის უფლების დადებითი დასკვნის გაცემამდე გაითვალისწინეთ აღნიშნული გარემოებები.

